

არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია საქართველოში,
საერთაშორისო პრაქტიკა და პრობლემის გადაჭრის გზები

ლადო ჯავახიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: არჩილ აბაშიძე, პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და ის არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლადო ჯავახიშვილი

2019 წელი

აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოში დღითიდღე იზრდება დანაშაულის პრევენციის როლი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში. დღეისათვის თანამედროვე, დემოკრატიული ქვეყნები მუდმივად ისწრაფვიან მიზნისაკენ, რომ პირი დანაშაულის ჩადენამდე არ მივიდეს, ხოლო თუ მაინც ჩაიდენს, მან გააცნობიეროს მის მიერ ჩადენილი ქმედება, მისი შედეგები, სწორედ ამ გზით უნდა მოხდეს დანაშაულის პრევენცია.

თავის მხრივ როდესაც ვსაუბრობთ დანაშაულის პრევენციაზე აუცილებლად უნდა გაიმიჯნოს პრევენციული ღონისძიებები არასრულწლოვანთა და სრულწლოვანთა შემთხვევებში, რადგანაც ეს უკანასკნელნი თავისი შინაარსით ძალზე განსხვავდებიან ერთმანეთისგან და სრულიად განსხვავებულ მიდგომებს საჭიროებენ. მოცემული ნაშრომის თემად სწორედ ამიტომ მხოლოდ არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია შევარჩიე. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ პერიოდში, საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯები იდგმება ამ მიმართულებით ეს სფერო მაინც რჩება მნიშვნელოვან გამოწვევად სახელმწიფოსთვის. კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფერო განვითარებულია, ხოლო ადრეული პრევენციის მექანიზმები კი აშკარად სუსტია და საჭიროებს დროულ რეაგირებას, რათა არსებითად არ შეფერხდეს მოზარდთა განვითარება და ასევე არ დაზიანდეს არსებული მართლმსაჯულების სისტემა.

ნაშრომის ფარგლებში მკითხველი დეტალურად გაეცნობა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის საქართველოში არსებულ პროგრამებს, ამ სფეროში საერთაშორისო სტანდარტებს, აღდგენითი მართლმსაჯულების თანამედროვე კონცეფციას, ამ მიდგომის აქტუალობას და საერთაშორისო პრაქტიკის წარმატებულ მაგალითებს. ნაშრომში განხილული იქნება არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ეროვნული სტრატეგია, სამოქმედო გეგმა, დეტალურად განვიხილავთ არსებულ გამოწვევებს და ნაშრომის ბოლოს წარდგენილი იქნება ექსპერტებისა და ავტორის მოსაზრებები და რეკომენდაციები არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სისტემის განვითარებისათვის, უფრო კონკრეტულად კი სისხლის

სამართლის პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე რეაგირების მექანიზმისა და ამ მწვავე პრობლემის მოგვარების გზები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: დანაშაულის პრევენცია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, რისკის ფაქტორები, დანაშაული.

Abstract

At this time in the world role of crime prevention in the criminal justice system is getting more important. In western countries are trying to work on prevention strategies and prevent crime, in case the crime is committed justice system is trying to prevent repeated crime.

On the other hand, when talking about prevention of crime, it is necessary to distinguish preventive measures in juvenile cases and adolescents, since these groups differ from one another and need completely different approaches. That is why I have just selected juvenile crime prevention as the main part of the article. Although recent steps in juvenile crime prevention in Georgia are very important, but this area still remains a significant challenge for the state. During the research process I found out that, the juvenile justice system has been developed in Georgia, and early prevention mechanisms are obviously weak.

Within the scope of the work, readers will get acquainted with juvenile crime prevention programs in Georgia, international standards in this field, modern concept of restorative justice, the importance of this approach and successful examples of international practice. The report will discuss the National Strategy for Juvenile Crime Prevention, Action Plan, and will discuss the existing challenges and the opinions and recommendations of experts and author will be presented at the end of the work for the development of juvenile crime prevention system and ways of solving this acute problem.

Key search terms: Crime Prevention, Juvenile Justice, Risk Factors, Crime.